ბასა ჯანიკაშვილი

სანამ ერთმანეთს გავიცნობდით

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ნინო წულეისკირი

გია წულეისკირი

ავტორი

სასტუმროს ოთახი.

(მოქმედება სიბნელეში ხდება. ჩვენ მხოლოდ ხმები გვესმის და ლოგინის რიტმული, უხერხული ჭრიალი, შემდეგ პაუზა).

ნინო

უკაცრავად…

გია

პირიქით…

(ლოგინის ჭრიალის რიტმი ჩქარდება).

ნინო

ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

გია

კი, როგორ არა, როგორ ხარ?

ნინო

მე არა მიშავს… დარწმუნებული ხარ, რომ მიცნობ?

გია

რა თქმა უნდა… *(იცინის)* რა თქმა უნდა…

ნინო

თუ ასეა, აბა რა მქვია?

გია

(სიცილს უმატებს) ჰა, ჰა, ჰა... რა კითხვა უნდა ამას? ჰა, ჰა, ჰა… როგორ არ ვიცი, რა გქვია…

ნინო

მითხარი, რა მქვია...

გია

ჰე, ჰე, თქვენ გგონია არ ვიცი? არ გამოგივა, ჰე, ჰე, ჰე…

(ნინო შუქს ანთებს. ვხედავთ ნინოს და გიას. ისინი ერთმანეთს უყურებენ).

ნინო

თუ მიცანი, თქვი რა მქვია.

გია

(არაბუნებრივად იცინის) და ვიცი, რა გქვია! ჰა, ჰა…

ნინო

მაშინ, მითხარი!

გია

და რატომ უნდა გითხრა?

ნინო

მითხარი!

გია

არ გეტყვი!

ნინო

რატომ?

გია

იმიტომ, იმიტომ, რომ უხერხულია, მამაკაცს, რომელიც გიცნობს, ასეთ დროს ჰკითხო - რა გქვია. ეგოცენტრიკი ხომ არა ხარ?

ნინო

ვერ გავიგე?! *(სიგარეტს აქრობს).*

გია

გითხარი, რომ ვიცი რა გქვია-მეთქი, მაგრამ არ გეტყვი-თქო. *(სიგარეტს უკიდებს. ნაფაზს ურტყამს)* არ გეტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა უკვე პრინციპის საკითხია!

(ნინო დაჟინებით აკვირდება).

გია

რას მომჩერებიხარ! არ გჯერა?

ნინო

მაშინ მითხარი, ერთმანეთი სად გავიცანით?

გია

(ნაძალადევი სიცილით) წინა ცხოვრებაში.

ნინო

აბა, რა მეცვა?

გია

რა და… კაბა გეცვა, თმა გქონდა აწეული.

ნინო

აი, მაგას არ გაპატიებ?

გია

და უკან შეკრული!

ნინო

მაინც, რა ფერის კაბა?

გია

რა ფერის იყო და, აი… მაგას აღარ გეტყვი!

ნინო

ვერ გავიგე?! რა სიჯიუტეა?

გია

მე მგონი, კითხვები უადგილოა. ბოლოს და ბოლოს, მოვეშვათ წარსულს… ადრე რომც არ შევხვედროდით, ახლა უკვე ხომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ერთმანეთს ვიცნობთ? ახლა, მაინც ხომ შეგვიძლია?

ნინო

გამოდის, აღიარებ, რომ ადრე არ მიცნობდი?

გია

არა, მე ეს არ მითქვამს! უბრალოდ, ამდენ ხანში უცნობებიც გაიცნობდნენ ერთმანეთს.

(სიჩუმე. ერთმანეთთან ზურგით სხედან).

გია

საინტერესოა, რამდენი ხანია, რაც ეს ნათურაა ჩართული?

(ნინო არ უპასუხებს).

გია

ალბათ, ძალიან დიდი ხანი, აბა, ასეთი დაბალი შუქი არ იქნებოდა. არა..?

(ნინო არ უპასუხებს).

გია

კი მაგრამ, რა გახდა ჩვენი გაცნობა?

ნინო

მართლა, რას ჩავაცივდი ამ „რა მქვია, რა მქვიას?“

გია

(დგება. ოთახში გაივლის. ფანჯარასთან მიდის) გადაიღო წვიმამ?

ნინო

ბოლოს და ბოლოს, ამდენ ხანს ერთმანეთს გავიცნობდით კიდეც.

გია

(ნინოსთან მიდის, მხარზე ხელს ხვევს) და რა საჭიროა გაცნობა, როდესაც, უკვე ვიცნობთ ერთმანეთს?

ნინო

ხანდახან, საჭიროა თავიდან გაიცნო ადამიანი.

გია

ა-ა, შენ გულისხმობ, რომ შეიძლება იცნობდე და გეგონოს, რომ იცნობ და უცებ აღმოჩნდება, რომ თურმე, სულ არ იცნობ, არა?

ნინო

მაგრამ, მთავარი ისაა, რომ მაინც დარწმუნებული ვარ, არ მიცნობ.

გია

ეს უკვე... არ ვიცი, ამას რა დავარქვა…

ნინო

რა ვიცი…

გია

არც მე ვიცი...

ნინო

ახლა, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა.

გია

კარგი, დავუშვათ, რომ ასე იყო, მაგრამ ასე არ იყო, გაფრთხილებ. მე გიცნობ, თან ძალიან კარგად.

ნინო

სასაცილოა უკვე.

გია

მოკლედ, დავუშვათ, რომ ისე იყო, როგორც ახლა დახატე სურათი… რომ ვითომ, მე შენ არ გიცნობდი და რო მკითხე, „რა მქვიაო“, მერე, რაღაც აღარ გამოვიდა, რომ მეთქვა, რო არ ვიცი-მეთქი და მერე.. აეწყო და ახლა აქ ვართ, ასეა?

ნინო

ბავშვობაში, ყვავილებიან კაბას რომ მაცმევდნენ, მეგონა ფუტკარი დამაჯდებოდა და დამკბენდა. იმის მერე, მეშინია ყვავილების. საერთოდ, არ მიყვარს ყვავილები. რას ამბობდი?

გია

აღარ მახსოვს.

ნინო

მე მახსოვს!

გია

გამახსენე.

ნინო

კარგით, რა, მართლა და მართლა. მე გკითხე, რა მქვია-მეთქი, შენ ვერ გაბედე, ვაჟკაცურად გეღიარებინა, რომ ჩემი სახელი არ იცოდი. ესაა შენი კაცობა... ვერ გაბედე! თითქოს, ახლა, რომ არ ვიცნობდით ერთმანეთს და აი, აქ გავიცანით ერთმანეთი, რამე დანაშაული იყოს.

გია

არა, მე... ისა... დანაშაული რა შუაშია...

ნინო

და ამას რატომ ამბობდი, ახლა გაიხსენე! იმიტომ, რომ სანამ ჩემს სახელს არ მეტყვი…

(კარზე კაკუნის ხმა ისმის. სადღაც, კარის მტვრევის ხმასაც ჰგავს. გია შეშინებული სწრაფად დგება. არ იცის, რა ქნას. კარზე კაკუნი, მეორდება. სასტუმროს ოთახში ფაციფუცით დარბის).

გია

(მაყურებელს) ჩამოიღეს კარი, ნამდვილად მისი ქმარია! ახლა შემოვა და მერე არ ვიცი, რას მიზამს. (კაკუნი მეორდება) ჩემი ტანსაცმელი მთელ ოთახშია მიმოფანტული. არა, რა უნდა უთხრა ასეთ მდგომარეობაში რომ გნახავს. (კაკუნი მეორდება) დამალვა ერთადერთი გამოსავალია, აბაზანა! (კაკუნი მეორდება) ახლა შემოვა, ქეჩოში მწვდება, აბაზანიდან ოთახში გამომათრევს, ამ სიჩქარეში, რა თქმა უნდა, ფეხი დამიცდება და პირველად აქ დავეცემი. შემდეგ ფეხზე წამომაყენებს და სახეში მაგრად დამარტყამს. მე უკან გადავვარდები და მეცოდინება, რომ ღირსი ვარ. შეიძლება, ერთი პირობა გამიკვირდეს კიდეც რომ მირტყამს, იმიტომ, რომ მე სიკვდილს ვიმსახურებ. ყოველთვის ასეა. მოტყუებული ქმარი არასდროს ურტყამს ცოლის საყვარელს. პირდაპირ ისვრის. (კაკუნი მეორდება) მაგრამ, მე მხოლოდ დამარტყამს. მერე ალბათ წაქცეულს წიხლსაც დამაყოლებს. ამასობაში ვიფიქრებ, რომ მეტის ღირსი ვარ და მერე სადღაც გამიხარდება კიდეც, რომ ჩემს ცემას მორჩება და თავის ცოლს მიადგება. (კაკუნი მეორდება) კაცმა რომ თქვას, რაც მოსახდენია მოხდება. (კაკუნი მეორდება).

(ოთახიდან აბაზანაში შერბის. კარზე კაკუნი უფრო ძლიერად ისმის. ოთახში ნინო რჩება, რომელიც ასევე შეშინებულია).

ნინო

(მაყურებელს) მეშინია ჩემი ქმრის; სახლში ვარ - მეშინია, მაღაზიაში ვარ - მეშინია, სამსახურში ვარ - მეშინია... როდესაც ჩემი ქმარი იძინებს, ჩემს თავს ვუბრაზდები, რატომ მეშინია–მეთქი, მაგრამ უძლური ვარ. ვუყურებ და ვკანკალებ. ადგომასაც კი ვერ ვბედავ, რომ არ გაეღვიძოს და რამე არ მკითხოს, რადგან ვიცი, რომ ვერაფერს ვუპასუხებ და დავიწყებ ათასი სისულელის ლაპარაკს და ვიცი, რომ შუქს აანთებს და მკითხავს, – რა გჭირს ნინო? და ისე მეშინია ამ კითხვის, იმიტომ რომ ვიცი დავიბნევი. ამიტომ ვწევარ და ვკანკალებ. (კაკუნი მეორდება) მაგრამ იმისიც მეშინია, რომ ვკანკალებ, იმიტომ, რომ შეიძლება ჩემმა კანკალმა ქმარი გააღვიძოს და მერე ხომ მკითხავს, რა გაკანკალებსო და რა ვუპასუხო? ამიტომ კანკალსაც ვწყვეტ! (კაკუნი მეორდება) მაგრამ წყნარად წოლაც მეშინია, იმიტომ, რომ შეიძლება გაეღვიძოს და მკითხოს, ასე წყნარად რატომ წევხარო. ამ კითხვის მეშინია ყველაზე მეტად! რადგან, არც აქ მაქვს პასუხი (კაკუნი მეორდება) ამიტომ იძულებული ვარ ერთი-ორჯერ გვერდი შევიცვალო ხოლმე. მერე კი, ვიწყებ ფიქრს, რომ ქმარს გაეღვიძება და მკითხავს, რატომ არ მძინავს, რატომ ვტრიალებ ლოგინში და მითხარით, რა

ვუპასუხო? (კაკუნი მეორდება) აი, ახლაც, კარზე კაკუნის ხმაა. ეს ჩემი ქმარია! მოკლავს? (კაკუნი მეორდება)

(შემოსასვლელ კარს ამტვრევს და შემორბის ნინოს ქმარი – გია. ჩაცმული. ეს სწორედ ის გიაა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ნინოსთან ერთად ლოგინში ნებივრობდა და მის საყვარელს ასახიერებდა. ცოლ-ქმარი პირისპირ დგანან).

ნინო

(შიშისგან ქმარს ეგებება) „მოვკლა?“ თქვი: „მოვკლა?!“...

გია

(სიხარულით, თითქოს ახლა ნახა პირველად) ნინო!... რას აკეთებ აქ...

ნინო

აბაზანაშია! იქ იმალება...

გია

(დაბნეულია) და, რა უნდა ვქნა?

ნინო

(უყვირის) რატომ, რატომ მიკეთებ ამას?

გია

(ჯიბიდან პისტოლეტს იღებს. თავი ხელში აჰყავს.) ხო იცი, როგორ მიყვარს იარაღი. შენ ხო იცი?! *(აკვირდება, მჭიდს გამოიღებს, შეამოწმებს, ტყვიებს გადათვლის, ისევ გამართავს)* რა ჰქვია, მითხარი! მითხარი რა ჰქვია! ხმა ამოიღე! მითხარი რა ჰქვია!

ნინო

არ ვიცი, არ ამბობდა.

გია

(შემდეგ სიტყვებს გაურკვევლად ყვირის, მაგრამ პათოსი გასაგებია) თქენ მოგეტნმბთ დედიმაიმისტარადი.... *(სააბაზანოს კარისკენ მიდის)* იქ არის. გული მიგრძნობს, რო იქ არის.

ნინო

იქ არის, გია, მაგრამ შენ ახლა სუბიექტური ხარ.

გია

მე ახლა ისეთი სუბიექტური ვარ, როგორც არასდროს არავინ ყოფილა! მე ახლა, ლამისაა გავსკდე სუბიექტურობისგან! ახლა, იქ შევალ და აი, ამ პისტოლეტით მივახრჩობ იმ გარეწარს და მეცოდინება, რომ სუბიექტური ვიყავი. მერე კი, შენ გაჩვენებ, როგორი შეიძლება იყოს პიკს მიღწეული სუბიექტურობა! ისე შეიძლება, შენ აღარც მოგკლა, იმიტომ, რომ ვინმემ მაინც მინდა ნახოს, როგორია გია წულეისკირის სუბიექტურობა!

(ისმის უნიტაზის ჩარეცხვის ხმა).

გია

ოხ შენ მოგეტნმბთ დედიმაიმისტარადი….!

(სააბაზანოში შერბის. კარი იკეტება. ისმის ცემა-ტყეპის ხმა. ნინო საწოლის უკან იმალება. ბოლოს, პისტოლეტი სამჯერ გაისვრის. ნინო საწოლში ხტება და თავზე საბანს იფარებს. იღება აბაზანის კარი. სისხლში მოთხვრილი გია წულეისკირი ნელი ნაბიჯით ოთახში გამოდის).

გია

...ვიქნებოდი ძალიან მაღალი, კალათბურთელივით მაღალი და წელში გამართული... იმიტომ, რომ კალათბურთელები წელში მოხრილი ხალხია.

ნინო

მოკალი?...

გია

ჰო, ვიქნებოდი ძალიან მაღალი, მექნებოდა წაბლისფერი, მოკლედ შეჭრილი თმა, ოდნავ ფერმკრთალი სახე - რადიოთი მოვისმინე, ქალებს თურმე მოსწონთ ფერმკრთალსახიანი მამაკაცები... და აუცილებლად, მწვანე თვალები, მწვანე,

გადასარევი თვალები, გრძელი წამწამები და ჩემი გამოხედვა იქნებოდა ღრმა, ფიქრიანი და სევდიანი. იმიტომ, რომ სევდიანი ადამიანი რაღაც უხილავ პრიორიტეტს ფლობს ყველა დანარჩენზე... ქალებს მოსწონთ სევდიანი მამაკაცები… მე რომ კალათბურთელი ვიყო, გამოვიდოდი კინორეჟისორი, ან მსახიობი, გადავიღებდი ბევრ ფილმს და ვიქნებოდი ცნობილი ადამიანი. მე რომ კალათბურთელი ვიყო, ვითამაშებდი ჰამლეტს. დავინახავდი მამამისის აჩრდილს და ბიძამისს ყურში მარილს ჩავაყრიდი. რა თქმა უნდა, დედამისს შევიძულებდი... *(ნინომ პიჯაკი გახადა და პერანგს ხდის)* ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

ნინო

დავუშვათ, რომ ასეა...

გია

დარწმუნებული ხართ, რომ მიცნობთ?

ნინო

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა…

გია

მაშინ, მითხარით…

ნინო

(ნინომ ქამარი შეუხსნა) შეიძლება?...

გია

(ორივე ხელით ქამარს იჭერს) უბრალოდ, ვითხოვ, ჩემი სახელი მითხრათ.

ნინო

ახლა, ისე გამოდის, რომ მე შენ სახელი წაგართვი. არადა, გეფიცები, მე ეს არც მიფიქრია.

გია

მაშინ, მითხარით, რის თქმას აპირებდით, როდესაც ახსენეთ, „დავუშვათ, ასე იყო, რომ არ გიცნობდითო?“

ნინო

მე ვთქვი ეს?

გია

დიახ, თქვენ თქვით, „დავუშვათ, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდითო“.

ნინო

გამორიცხულია!

გია

ჩემი ყურით მოვისმინე!

ნინო

მე ასეთ სისულელეს არ ვიტყოდი.

გია

რა, ისეთი ქალი ხართ, რომ სისულელეებს არ ამბობთ?

ნინო

ასეთ სისულელეებს არ ვამბობ!

გია

და რომ თქვით?!

ნინო

„დავუშვათ, რომ ასე იყოო“ ვთქვი? სიტყვა სიტყვით?!

გია

სიტყვა სიტყვით.

ნინო

ა-ა, გამახსენდა!

გია

რა პროგრესია!

ნინო

მაგრამ, მანამდე, შენ თქვი, რომ რაღაცაო...

გია

რას ბოდავთ? აი, ასე, ავიღე და ვთქვი, „რაღაცაო?“

ნინო

და მერე, მე გიპასუხე, რომ „დავუშვათ, რომ მე და შენ ერთმანეთს არ ვიცნობთ-მეთქი, მაშინ“… და მერე გამაწყვეტინე.

გია

თუ გაგაწყვეტინეთ, დაასრულეთ!

ნინო

აღარ მახსოვს!

გია

ესე იგი, სწორად მახსოვს?

ნინო

რა გახსოვს?

გია

რომ არ გახსოვს.

ნინო

მოდი, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ.

გია

სიამოვნებით.

ნინო

და ვაღიაროთ, რომ ეს ყველაფერი იმიტომ დაიწყო…

გია

რომ… მოგერიდათ, უბრალოდ გეთქვათ, რომ არ მიცნობდით.

ნინო

არა, მე მაგის თქმას, არ ვაპირებდი! (პაუზის შემდეგ) რა შუაშია „მომერიდა“?

გია

მე ცოტა თავხედურად გამომივიდა, როცა გკითხეთ ის, რაც არ უნდა მეკითხა.

ნინო

რას ხედავ, ამაში თავხედურს?

გია

არა, მამაკაცები ასე არ იქცევიან.

ნინო

მე არ ვიცი, როგორ იქცევიან სხვები, მაგრამ…. აი, ახლაც დამავიწყდა, რა მინდოდა მეთქვა.

გია

და როგორც ყოველთვის, მე მახსოვს.

ნინო

ყოველთვის მქონდა შენი იმედი!

გია

კარგად გავიხსენო… ა-აა, ასე იწყებოდა…

ნინო

ეს, რომელ სიტყვებს გულისხმობ?

გია

მომისმენთ? მე გითხარით, „რომ უბრალოდ მოგერიდათ გეთქვათ, რომ არ მიცნობდით-მეთქი“, თქვენ კი დაიწყეთ, „ცოტა თავხედურად გამომივიდაო“.

ნინო

მე ვთქვი ეს?!

გია

ისიც დაამატეთ, რომ „როგორც წესი მამაკაცები ქალებს ასე არ ექცევიანო“.

ნინო

მე კი არა, ეს შენ თქვი!

გია

დარწმუნებული ვარ, ყველა მამაკაცთან ასე არ იქცევით. მე გაპატიებთ. გავიცნოთ ერთმანეთი?

ნინო

მომისმინე, ძალიან გთხოვ მომისმინე და ნუ გამაწყვეტინებ, იმიტომ, რომ საკითხი, უკვე ძალიან პრინციპულად დგას! მე გითხარი, რომ გიცნობ და სახელს არ გეტყვი-მეთქი, იყო თუ არა, ასე? მერე, ვთქვი, რომ პრინციპულად არ გეტყვი სახელს-მეთქი, ასეა? ახლა, კი, მეუბნები, რომ ვარ შტერი ვარ და მე ეს არ უნდა მეწყინოს?

გია

მე არ მითქვამს, რომ შტერი ხართ!

ნინო

არც მე მითქვამს, რომ თავხედი ხარ.

(კარზე კაკუნის ხმა ისმის. შეშინებული ნინო სწრაფად დგება.)

ნინო

(მაყურებელს) ჩემს დაქალს მოუვიდა ასე. გაიცნო კაცი, ჩაუწვა ლოგინში და ცოლი არ დაადგა თავზე? მაშინ, კიდევ ერთხელ ვიფიქრე, რომ არასდროს დავიჭერდი საქმეს ცოლიან კაცთან. არასდროს! *(კაკუნი მეორდება)* მახსოვს, ვეჩხუბე კიდეც ხმამაღლა გამოვაცხადე, რომ ქალები, ვინც ასეთ რამეზე მიდიან, ყველაფრის ღირსები ხართ-მეთქი. და ახლა? ვდგავარ ნახევრად შიშველი, უცნობ მამაკაცთან ერთად საძინებელში უკანასკნელი ბოზივით და ვემალები მის გაავებულ ცოლს. რა არ ვიცოდი, რო ცოლიანი იყო? თავიდანვე თითზე დავხედე, მაგრამ ვიფიქრე, რა მოხდა მერე-თქო და აი! (კაკუნი მეორდება) არა, მომკლავს ალბათ ცემაში. ჩემს მეზობელს ძაღლი ჩამოუვარდა მეორე სართულის აივნიდან და ოთხივე ფეხი მოიტეხა საცოდავმა. რატო მოვყევი ახლა ეს? არ მახსოვს. *(კაკუნი მეორდება)* მოკლედ, დარწმუნებული ვარ, კარგი არაფერი მოხდება! არ ვიცი, თუ ამან იმდენი ქნა, რომ აქეთ არ შემოუშვა, ხო კარგი! ღმერთო, რას ჰგავს ოთახი… არა, იცი რაზე ვბრაზდები? აი ასე, აქ უნდა დამთავრდეს ის, რაც ამდენი წელი ასე სათუთად მომიტანია?! ჩემს ცხოვრებას ვგულისხმობ. და რატომ? აი, ამ ცხოველის გამო? და მისმა ცოლმა დანა უნდა გამიყაროს მუცელში? მაჟრიალებს რომ წარმოვიდგენ, როგორ მესობა ცივი მეტალი ღვიძლში და საკუთარი თვალით ვხედავ, წითელ ლაქებს ჩემს ახალ კაბაზე.

დანა ხო ელენთასაც შეეხება, რადგან ამ არამზადის ცოლი მეორედაც დამარტყამს და მაშინ მივხვდები, როგორ იფლითება მუცელში ჩემი ჯანმრთელი ორგანოები. მომინდება რაღაცის თქმა. მაგრამ, პირიდან მხოლოდ ხავილი ამომივა და მივხვდები, რომ სჯობს ჩუმად მოვკვდე, ვიდრე, სხვისი დასაცინი გავხდე. მეტლახზე დავეცემი და სათითაოდ გამახსენდება ყველა, ვისაც გახელილი დარჩა თვალები. ვის არ უნდა სიკვდილის წინ თვალები დახუჭოს და ნორმალურად დაასრულოს სიცოცხლე, რომ სხვისი დასახუჭი არ გახდეს?... უბრალოდ, მერე ვიღას მოუყვებიან? (კაკუნი მეორდება)

(სააგაზანოში შერბის).

გია

(მაყურებელს) ჩემი ცოლია. ნაღდად ჩემი ცოლია. სულ მემუქრებოდა, ერთხელ იქნება და ვიღაცასთან წაგასწრებო და მერე იმასაც მოვკლავ და შენცო. არა, ასე ამბობდა - „ნელ ცეცხლზე შეგწვავო“. მაშინ, რატომღაც, სასაცილოდ არ მყოფნიდა ეს სიტყვები და სულ ვფიქრობდი, როგორ უნდა შემწვას ნელ ცეცხლზე-მეთქი. ბოლოსდაბოლოს, ხომ ვერ მომერევა? ავიღებ და გავექცევი. *(კაკუნი მეორდება)* მაგრამ, ახლა ვხვდები, რომ შიშისგან არსად გამქცევი არა ვარ. *(კაკუნი მეორდება)* ასეთ დროს, მთავარია კითხვები არ დაგისვას, თვალებში ჩახედვა არ მოგთხოვოს და ასეთი რაღაცები, თორემ ტკივილს? ტკივილს ავიტან. სიხარულით შევუშვერ ორივე ლოყას! არა, იცი რაზე ვბრაზდები? სად გაქრა ის, რაც ასე მომწონდა მაშინ, როდესაც ცოლად მომყავდა? კარგად მახსოვს, ჩვენი პირველი ღამე. წითელ ღამის პერანგში გამომეცხადა… თავი ეროტიკული ფილმის გმირად წარმოვიდგინე... პირველი წლები ყველაფერი კარგად იყო. შემდეგ, ნელ-ნელა, ტანსაცმლის კარადა ისეთი სახის საცვლებით აივსო; ეს ბანდაჟები, ეს... გადაკიდებული გახდილი კოლგოტი - პატარა ფეხებით და გამოწელილი... *(კაკუნი მეორდება)* მე რა, მსიამოვნებს ქუჩა-ქუჩა სიარული და ახალ-ახალი თავგადასავლების ძებნა? *(კაკუნი მეორდება)* ახლავე!

(გია შემოსასვლელ კარს აღებს. შემოდის ნინო. ეს სწორედ ის ნინოა, რამდენიმე წუთის წინ გიასთან ერთად ლოგინში რომ ნებივრობდა და მის საყვარელს ასახიერებდა).

ნინო

სად არის?

გია

ყოველთვის მეგონა, რომ ქალები არ არსებობენ!

ნინო

მითხარი, სად არის და რა ჰქვია?!

გია

თუ დამიჯერებ, ნინო, არ ვიცი რა ჰქვია. არ მითხრა, უფრო სწორად, ვკითხე და დამიმალა.

ნინო

არ ვიცი, ახლა რა ვქნა!

გია

დამარტყი, მცემე, მაწამე, ყველაფრის ღირსი ვარ! არსად არ გავიქცევი.

ნინო

ის სად არის! *(ოთახში ეძებს)*

გია

ვის ეძებ? არ ვიცი, არ ვიცი, გეფიცები, არც მახსოვს საერთოდ თუ არსებობდა! მე ახლა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ დავიბრუნო შენი ნდობა! მხოლოდ, ჯერ მცემე, დამსაჯე, რომ მეტი ასე აღარასდროს მოვიქცე. ათჯერ, ასჯერ დამარტყი, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, რომ ბრძოლაში დაიხარჯოს და დავისაჯო!

ნინო

(ნინო ჩანთიდან იღებს დანას) მე ახლა კალკულატორი ვარ! უიაფესი, ჩინური კალკულატორი, რომლის მუცელში ერთდროულად ელემენტიც დევს და მზით დამტენი აკუმულატორიც. ორივეთი ვიმუხტები, მაგრამ მაინც იმაზე მეტს ვერ შევძლებ, რაც დამიწერა გამჩენმა: გადავამრავლო მშრალი ერთფეროვნება...

გია

რა ?!

ნინო

ჰო და მეც ვამრავლებ ასიათას ოთხასოცდაშვიდზე, ამას ვყოფ რვაზე და გამომყავს ფესვი ხუთიდან ოცდასამში და მაინც, მაინც ჯინაზე ვიღებ ნულს! მაგრამ მაინც განვაგრძობ კალკულაციას. სიყალბის, შურის, ზიზღის და სიბინძურის კალკულაციას.

გია

რა გჭირს, ნინო?

ნინო

მთელი ცხოვრება მემახსოვრება, როგორ შევდივარ სააბაზანოში, რომ დავიანგარიშო ფლიდობას მიმატებული სიმხდალე გაყოფილი შიშზე, მიღებული ღალატიდან გამოვიყვანო ტყუილის ფესვი და მაინც გუმანით ვიგრძნო, რომ ეს ყველაფერი უდრის ვერაგობას.

(ნინო სააბაზანოში შერბის. ისმის ჩხუბის ხმა. ქალის კივილის ხმა. გია საწოლში იმალება. სისხლიანი დანით ხელში სააბაზანოდან ნინო წულეისკირი გამოდის).

გია

მოკალი?...

ნინო

ყოველთვის მეგონა, რომ გრძნობ მხოლოდ უბედურებას, ხოლო ბედნიერებას შეიგრძნობ მაშინ, როდესაც გართმევენ…

გია

დღეს რაღაც არ მომწონხარ.

ნინო

... იმიტომ, რომ არასდროს გახსოვს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. როგორც წესი, გახსოვს არაფრის მთქმელი, უმნიშვნელო დეტალები და ყოველთვის გაქვს იმის შეგრძნება, რომ იცი იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე იცი, მაგრამ არ გახსოვს... და რაც გაწყობს ის გახსენდება… ღმერთს მადლობა უნდა უთხრა, რომ „რაღაც“ მაინც გახსოვს. *(ტანსაცმლის გახდას იწყებს.)* არასდროს აქცევ ყურადღებას იმას, რაც

ყველაზე მნიშვნელოვანია. იცი, რომ ეს კვლავ განმეორდება და ქვიშასავით გეფანტება აზრები! კარგია ეს, თუ ცუდი?

გია

მესამე პირში რატომ ლაპარაკობ?

ნინო

გაუცხოებას ვგრძნობ. ჩემს თავს გავურბივარ. მე მგონი ჩემში ორი არსება სახლობს. ერთი, რომელიც მეუბნება, რომ ეს ყველაფერი კარგია და მეორე, რომელიც იგავებს მიყვება ჩემს მომავალზე. *(საწოლში წვება. გიას გვერდით)* ამ ბოლო დროს მეც ვამჩნევ, რომ მესამე პირში ხშირად ვლაპარაკობ ხოლმე. ეს რაღაცით ცხოვრებას მიადვილებს. თითქოს განყენებული "ვარ" ყოველგვარი მოვლენის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავარი თემა „მე" ვარ და „ჩემი" მომავალი. *(შემთხვევით გიას საგანს გადახდის)* უკაცრავად.

გია

პირიქით….

ნინო

ეს-ეს არის ჩემი მეუღლის საყვარელი მოვკალი.

გია

თქვენ წარმოიდგინეთ, მეც.

ნინო

არ არსებობს.

გია

რას იზამ.

(პაუზა).

ნინო

ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

გია

კი, როგორ არა. როგორ ხარ?

ნინო

მე, არა მიშავს… დარწმუნებული ხართ, რომ მიცნობთ?

გია

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა… *(იცინის)*

ნინო

თუ ასეა, აბა რა მქვია?

გია

რა კითხვა უნდა ამას? თქვენ გგონიათ, არ ვიცი? არ გამოგივათ…

ნინო

მითხარით, რა მქვია.

გია

და ვიცი, რა გქვიათ და რატომ უნდა გითხრათ?

ნინო

მითხარით!

გია

არ გეტყვით!

ნინო

რატომ?

გია

იმიტომ, რომ უხერხულია, მამაკაცს, რომელიც გიცნობთ, სახელი ჰკითხოთ. და თქვენ მიცნობთ?

ნინო

დაუშვათ, რომ ასეა.

გია

დარწმუნებული ხართ, რომ მიცნობთ?

ნინო

რა თქმა უნდა.

გია

მაშინ, მითხარით, მე რა მქვია.

ნინო

ახლა, ისე გამოდის, რომ მე თქვენ სახელი წაგართვით? გეფიცები, მე ეს არც მიფიქრია.

გია

ეგ, არც მე მიფიქრია.

ნინო

თქვენ თუ დააკვირდით, მე არ მითქვამს, რომ თქვენი სახელი ვიცი. მე ვთქვი, რომ უბრალოდ გიცნობთ.

გია

ეს არაფერს ცვლის.

ნინო

ნუ უხეშობთ. არ გიხდებათ…

გია

გამოტყდით, რომ იცოდით, რომ მე არ ვიცოდი რა გქვიათ, მაგრამ მოგწონვართ და არ მიშვებთ?

ნინო

მე მომწონხართ? არც იოცნებოთ!

გია

აბა, რა ჰქვია, ახლა ამას? გამაჩერეთ, არ მიშვებთ და კიდევ აქეთ გაქვთ პრეტენზია, რომ რაღაცა!

ნინო

(საწოლიდან დგება) თქვენ მე არ მიცნობთ.

გია

ძალით ჩამითრიეთ დიალოგში, ძალით გინდათ მათქმევინოთ სახელი...

ნინო

მორჩა! აღარ აქვს ამას მნიშვნელობა!

(საწოლიდან გიაც დგება. ისმის მობილური ტელეფონის ზარის ხმა. გია უპასუხებს).

გია

(ტელეფონში). ჰო, მამა. კი... ახლავე. *(ნინოს მობილურს აწვდის)* აჰა.

ნინო

(ტელეფონში) ხო... ჩემ კარადაში... მარცხნივ... *(ტელეფონს თიშავს და გიას უბრუნებს. ჩანთას ალაგებს და წასასვლელად ემზადება).*

გია

არ წახვიდე.

ნინო

რატომ არ უნდა წავიდე?

გია

არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ახლა რომ წახვიდე, ისე, რომ… არ წახვიდე... ცოტახნით დარჩი, სერიოზულად. თვალს ვერ გაშორებ.

ნინო

ვერც მე. ჩემი წასვლის დროა. ცხელა.

გია

ჰო, ცხელა.

ნინო

კარგი... გამიშვი…

გია

მიყვარხარ.

ნინო

მეც მიყვარხარ.

გია

არ მჯერა.

ნინო

არც მე.

გია

რატომ არ გჯერა?

ნინო

თუ გიყვარვარ, მითხარი რა მქვია?

გია

გეტყვი.

ნინო

მიდი, მითხარი.

გია

მერე გეტყვი.

ნინო

ნუ გააწყალე გული! უბრალოდ თქვი, რომ არ იცი, რა მქვია და მორჩება ამით საქმე!

გია

არა, არ ვიტყვი. იმიტომ, რომ ვიცი რა გქვია.

ნინო

მაშინ, მითხარი, როგორი ვარ?

გია

ძალიან ლამაზი.

ნინო

კიდევ?

გია

არ არის საკმარისი?

(ნინო არ უპასუხებს, მაგრამ გულისხმობს: „პრინციპში, არა“).

გია

(უყურებს ნინოს, მაგრამ სხვა ქალის გარეგნობას აღწერს) გაქვს შავი თვალები, შავი, გრძელი თმა, ძალიან გამხდარი ხარ, ძალიან მაღალი…

ნინო

რა საშინელებაა? მართლა? ასეთი ვარ?

გია

და მე როგორი ვარ?

ნინო

(უყურებს გიას, მაგრამ სხვა მამაკაცის გარეგნობას აღწერს) შენ... გაქვს წაბლისფერი ხშირი თმა, მწვანე თვალები, ოდნავ ფერმკრთალი ხარ, ძალიან მაღალი და მხრებში ოდნავ მოხრილი...

გია

რას ლაპარაკობ?!

ნინო

(დანანებით) აბა…

(უხერხული სიჩუმეა. ნინო გასვლას აპირებს. ჩემოდანს იღებს).

გია

ახლა რომ წახვიდე, არ ვიცი რას ვიზამ.

ნინო

ნუ, რა აზრი აქვს.

გია

აზრი როგორ არა აქვს?

ნინო

ჩვენ არ ვიცნობეთ ერთმანეთს.

გია

როგორ არ ვიცნობთ. ჩვენ უფრო მეტად ვიცნობთ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ თვითონ გვგონია ეს!

ნინო

მაშინ … *(არ ამბობს: „რატომ არ მეუბნები სახელს?“)*

გია

და შენ? *(არ ამბობს: „რატომ არ მეუბნები სახელს?“)*

(ნინო გასასვლელისკენ მიდის).

გია

(პაუზის შემდეგ) ნინო! *(ნინო ჩერდება) ჰა, მცოდნია შენი სახელი?!*

(მოულოდნელად, ტელევიზორი თავისით ირთვება, სადაც მაყურებლებს პიესის ავტორი მიმართავს).

ავტორი

(ტელევიზორიდან). გამარჯობა, მე ვარ ბასა ჯანიკაშვილი, დრამატურგი და მწერალი. დაწერილი მაქვს პიესები, რომანები… მე მინდა, თქვენი ყურადღება…

(გია პულტს იღებს და ტელევიზორს გამორთავს).

ნინო

მეც ვიცი შენი სახელი. გია!

(ტელევიზორი ისევ თავისით ირთვება და კვლავ ავტორი ლაპარაკობს;

ავტორი

(ტელევიზორიდან) მე ახლა ვიმყოფები თავისუფლების მოედანზე, სასტუმროს წინ ვდგავარ. ახლა კი, მოგახსენებთ, რამ მომიყვანა აქ. საქმე ის გახლავთ, რომ…

(ნინო ტელევიზორის პულტს იღებს ტელევიზორს გამორთავს. ნინო და გია ერთმანეთ უახლოვდებიან. სანამ ერთმანეთს აკოცებენ ტელევიზორი ისევ ირთვება, სადაც ავტორი ლაპარაკობს).

ავტორი

(ტელევიზორიდან) ამ წუთებში, სასტუმროს წინ ერთ-ერთ ნომერში, მიმდინარეობს სპექტაკლი „სანამ ერთმანეთს გავიცნობდით“, რომლის პიესის ავტორი მე გახლავართ. იმის გამო, რომ დაცვა არ მიშვებს, ამ ფორმით გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა.

(ნინო და გია ტელევვიზორს შეხედავენ).

ავტორი

(ტელევიზორიდან) მთავარი პრობლემა ის გახლავთ ძვირფასო მეგობრებო, რომ სპექტაკლის ფინალი არის შეცვლილი! ის არ არის, რაც მე დავწერე. ამათმა სხვა რამე ითამაშეს. ჩემთან ფინალში კონფლიქტი უნდა გაეღრმავებინათ. ეს დრამაა. მე დრამა დავწერე და არა მელოდრამა. პიესაში გამოუვალი მდგომარეობაა, ერთმანეთს ვერ ცნობენ. თითქოს, ერთმანეთი დაკარგესო, როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ყოველთვის ჩიხში შევდივართ. როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთს კარგავს და ერთმანეთის მიმართ უცხოები ხდებიან. ამაზეა ეს პიესა! გაუცხოებაზე,

უსიყვარულობაზე, ერთმანეთის დაკარგვაზე... მე დავწერე ორი ადამიანის დაკარგვის ისტორია. ჩემს პიესაში სიყვარული ვერ პოულობს თავის თავს.

(გია ფანჯარაში გაიხედავს, პისტოლეტს იღებს და გარეთ გარბის. მას ნინოს მისდევს.)

ავტორი

(ტელევიზორიდან) პიესის ფინალი არ არის ისეთი ტკბილი, როგორიც თქვენ ნახეთ სპექტაკლში. არ შეიძლება ასეთი არადამაჯერებელი ფინალის მოფიქრება და გაკეთება, მაშინ როდესაც სულ სხვა რაღაცები ხდება სპექტაკლში. მეორე, პიესა იწერება თეატრისთვის, რას ვერჩი ამ სასტუმროს, მშვენიერია, მაგრამ არ შეიძლება სასტუმროს ნომერში სპექტაკლის თამაში. მე მინდოდა თეატრში ჩვეულებრივად მოსულიყო მაყურებელი...

(ტელევიზორში, ავტორის უკანა ფონზე ვხედავთ გია წულეისკირს რომელიც სასტუმროდან გამორბის, და ავტორისკენ მირბის. გიას ნინო მოსდევს, სიტყვებით: არ გინდა, გია… მაგრამ გია წულეისკირი ამას არ ისმენს. ავტორი მისკენ მორბენალ, იარაღმომარჯვებულ გია წულეისკირს შენიშნავს და გარბის. ჩვენ ტელევიზორში ვხედავთ ტელეფონით გადაღებულ სირბილის კადრებს, გვესმის ნინო სულეისკირის კივილის ხმა, შემდეგ ისმის სროლის ხმა. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ავტორს გია წულეისკირი მისდევს. ავტორი დაჭრილი ეცემა. ტელეფონი ვარდება, მაგრამ გადაღება გრძელდება. ტელევიზორში ჯერ ვარსკვლავებიანი ცა გამოჩნდება, შემდეგ გია და ნინო წულეისკირების ნარბენი სახეები. ისინი ტელევიზორიდან გვიყურებენ. გია და ნინო წულეისკირები მობილური ტელეფონის კამერას ერთად ადგამენ ფეხს. ტელევიზორში ავტორის მიერ მოწყობილი ჩართვა ითიშება. ტელევიზორი ბნელდება).

დასასრული.

2010-2018